



სამხრეთის ხელოვნება

GOBETGROE
 UKRYGGTBO
 SOVIET
 ARTS
 SOWJETKUNST
 ART
 SOVIETIQUE



1969

სამკვლევო საქმიანობა



თეატრის
მუსიკის
მხატვრობის
კინო
რეჟიზერების
ქორეოგრაფების



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

1969

ლადო
გულიაშვილი
ქართველი ქალი



ურა
ჯაფარიძე
← დედის ფიგრა

მთავარი რედაქტორი — ოთარ მბაკე

ს ა რ მ დ ა ქ ც ი ო კ ო ლ მ ბ ი ა შ ა ლ ვ ა ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი,
გ ე ლ ა ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე, კ ა რ ლ ო გ ო გ ო ძ ე, ა ლ ე ქ ს ი შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი,
ნ ა თ ე ლ ა უ რ უ შ ა ძ ე, გ რ ი გ ო ლ ფ ო ფ ხ ა ძ ე, ვ ა ნ ო წ უ ლ უ კ ი ძ ე,
დ ი მ ი ტ რ ი ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე.

ქმრფასო ამხანაგო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგესალმებათ და მოგილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და ერთგული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ყველა კონტინენტის მშრომელ ქალთა სოლიდარობის დღეს.

მ მარტის დღე ჩვენს მრავალგვარსადასოვიან სოციალისტურ ქვეყანაში აღინიშნება როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

სამშობლო დიდად აფასებს თავისი ქალიშვილების — შესანიშნავი საბჭოთა პარტიოტების დაშსახურებას. ჩვენი ხალხის მადლიერ ხსოვნაში ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს იმ ქალთა საგმირო საქმენი, რომლებიც თავიანთ მამებთან, ქმრებთან და ძმებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის გამარჯვებისათვის, უმაგალითო მამაცობით იცავდნენ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკას სამოქალაქო ომის წლებში, სიცოცხლის დაუზოგავად იცავდნენ შრომასა და ბრძოლაში სოციალისტურ სამშობლოს პიტელერკლთა შეთხვევისაგან.

საბჭოთა ქალებს ბევრი რამ აქვთ საამა-

საბჭოთა ქალებს

ყო. სოციალიზმმა სამუდამოდ გაათავისუფლა ისინი კაპიტალისტური მოზობისაგან, საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები გახადა, მისცა დიდი მატერიალური სიკეთე, განათლება, აზიარა კულტურის მწვერვალებს, შეუქმნა ფართო შესაძლებლობანი ნიჭისა და უნარის განვითარებისა და ცხოვრებაში გამოყენებისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქალები

შთაგონებით აგებენ კომუნისტური ნათელ შენობას. პარტია და შთაგონება დიდად აფასებენ ქალების თავდადებულ შრომას წარმოების, საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, მათს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების მართვაში, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობაში. განსაკუთრებული პატივისცემისა და მადლო-

რუსთაველი პარიზის



თვის მკვიდრ მოწოდებს ქალთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობას ჩვენს ქვეყანაში. ამას წინაშე საბჭოთა მთავრობამ მოუწოდა სოფლის მშრომელ ქალებს დაეუფლონ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. პატივი და ღირება საბჭოთა პარტიულ ქალებს, რომლებმაც განაყაზღეს, რომ მზად არიან თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმაშენების საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში!

ბის ღირსია ქალთა დაუღალავი შრომა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, სადაც ჩვენს ქალებს გადამწყვეტი როლი ეკუთვნის.

თანასწორუფლებიანი შრომა ხალხის კეთილდღეობისათვის, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, თავისუფალი გზა განათლების, ყველაზე მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისა-

ჩვენი ქალები საზოგადოების წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძობით ასრულებენ თავიანთ დემდობრივ მოვალეობას იმისი შურუნველად უკლიან ბავშვებს, ზრდიან მათ მაღალი საზოგადოებრივი იდეალების და მორალური თვისებების სულისკვეთებით — კომუნისტის საქმისადმი ერთგულების, ინტერნაციონალიზმის, სამშობლოსადმი სიყვარულის, იმპერიალიზმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.


პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, რაც საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას ყოფაცხოვრებაში ქალთა რაიმე უთანასწორობა. ყოველწლიურად დიდდება საბინაო მშენებ-

ლობა, ფართოვდება საბავშვო-ბავშვთა და ბავშვის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებათა ქსენიური-ტექნიკური ტემპებით ვითარდება საყოფაცხოვრების მომსახურება, იზრდება სყოფაცხოვრებო მანქანების გამოშვება, რომლებიც მშრომელ ქალს ათავისუფლებენ ბევრი საოჯახო საქმისაგან.

ემზადება რა ღირსეულად შეხვდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ხალხი ახლა განსაკუთრებული შთაგონებით მშრომობს. მილიონობით მშრომელნი ესწრაფვიან ეს ღირსშესანიშნავი იუბილე აღნიშონთ თავლასაჩინო წარმატებებით ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში. საყოველთაო-სახალხო გახდა მოძრაობა ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ პარტიულ მოძრაობის მსვლელობაში საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალმა კოლექტივმა იკისრა გაიდღებელი ვალდებულებანი ხუთწლეულის მეოთხე წლისთვის, საბჭოთა ქალები, მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვიან ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ყოველი დღე წარმოშობს სახელგანთქანი შრომითი მამაციების სულ ახალ და ახალ ნიმუშებს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მსურავლედ მიესალმება ქალა-

ლ. აბრამაძე. 1969



საპარტიო-საპროფსინო მუშაობისათვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საპარტიო-საპროფსინო მუშაობისათვის საპარტიო-საპროფსინო მუშაობისათვის სსრ ლიბარატორია, ხელმოწერისა და აკრედიტაციის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის საპროფსინო პრაქტიკის მომსახურების ფინანსური და დამატებითი:

საპარტიო-საპროფსინო მუშაობისათვის სსრ ლიბარატორია 1969 წლის საპროფსინო პრაქტიკის მომსახურებისათვის:

ანდრია შელიტონის ძე ბალანჩივაძეს — კამერული ორკესტრის მუსიკალური სურათებისათვის: „სტირი“, „ჩანგი“, „დაირა“ და № 4 საფორტეპიანო კონცერტი;

ვლადიმერ შალვაძეს ძე ალექსი-მესხიშვილს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომისა და თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურ „ლენინის მოედნის“ არქიტექტურისათვის;

გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძეს — საქართველოს სახალხო პოეტს (სიკვილის შემდეგ), რომელიც საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი იყო 1966 წელს, — უკანასკნელი წლების ლექსებისა და პოემებისათვის.

ქისა და სოფლის ქალთა აქტიურ როლს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში გამოთქვამს რწმენას, რომ სამჭოთა მშრომელი ქალები — მუშები და კოლმეურნეები, მასწავლებლები და ექიმები, ინჟინრები და ტექნიკოსები, კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაკრობისა და სასოფლაღობრივი კვების მუშაკები — ყველა ქალი, სადაც უნდა შრომობდნენ ისინი, ძალღონეს არ დაიშურებენ, მთელ თავიანთ ნიჭს, ენერჯიასა და ნებისყოფას მოახმარენ იმას, რომ გაამრავლონ წარმატებანი ჩვენს ქვეყნისა, რომელიც მტკიცედ მიდის დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

მალღირების ღრმა გრძნობას იწვევს ჩვენი სამშობლოს ქალიშვილთა ქმედითი მონაწილეობა ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილნი, ისინი სოციალისტური თანამგობრობის ქვეყნების ქალების მხარდამხარ მოღვაწეობენ, მთელი ძალღონით უჭერენ მხარს თავიანთ დობილებს სხვა ქვეყნებში, რომლებიც იბრძვიან სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. სამჭოთა ქალები აღფრთოვანებული არიან ვიეტნამის ქალთა გმირობით, მამაკურად რომ იცავენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკელი აგრესორებისაგან. მთელ ჩვენს ხალხთან ერთად სამჭოთა ქალები ფხიზლად ადევნებენ თვალს იმპერიალისტთა ხრიკებსა და დივერსიებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სამჭოთა ქალები კვლავაც სულ უფრო განამტკიცებენ მჭიდრო მეგობრობას სოციალიზმის ქვეყნების ქალებთან, ინტერნაციონალურ კავშირუბრთობას მთელი პლანეტის მშრომელ ქალებთან მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მურავალებს მოგილოცავთ, ძვირფასო ამბიანთა ქალებო, მ მარტის დღეს და გისურვებთ ახალ წარმატებებს ყველა თქვენს საქმეში, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას!

პატივი და დიდება სამჭოთა ქალებს!
გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის სულსამაგვამელსა და ორგანიზატორს!

საბაოთა აკაშირის კოხინისუბრი
პარტიის ცანხალური კომიტეტი

ჩვენ სოლიდარობის ღღ

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა

სამჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, კოსმონავტ-მფრინავი, სსრკ გმირი

მსწრული პროგრესული სასოფლაღობრიობა ორმოცდამეცხრამეტეჯერ აღნიშნავს საერთაშორისო დღესასწაულს 8 მარტს როგორც დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი პლანეტის ქალთა სოლიდარობის დღეს.

როგორ ხვდებიან დღესასწაულს სამჭოთა ქალები? ასეთი კითხვით მიმართა საკდესის კორესპონდენტმა სამჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, სამჭოთა კავშირის გმირს ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას.

— წლებადელი წელი — განსაკუთრებულია მთელი ჩვენი

ხალხისათვის, — თქვა ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ. საბჭოთა კავშირის მშრომლები აქტიურად ემზადებიან დიდი თარიღის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბუღალის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალეთა მონაწილეობას ქვეყნის ყველა საქმეში. იგი ურბდა:

„...საჭიროა, რომ მუშა ქალები სულ უფრო მეტ და მეტ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი საქარმოების მართვაში. და სახელმწიფოს მართვაში.

მართვის დროს ქალები ისწავლიან სწრაფად და დაეწევიან მამაკაცებს.

...პროლეტარიატი ვერ მიადევნებს სრულ გამარჯვებას, თუ არ მოუპოვავს ქალებს სრული თავისუფლება“.

ისტორიამ დაადასტურა ლეხიური განკურტების დიდი სიმართლე. სამშობლოს ყველა მიღწევაში შეტახილია საბჭოთა ქალების შრომა, ენერჯია, შემოქმედება. ახლა არაქტიულოდ არ არის სახალხო მუშაობების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების არც ერთი დარგი, სადაც ქალს არ ეკავის ღირსეული ადგილი. 1928 წელთახ შედარებით სპეციალისტ ქალთა რიცხვი საბჭოთა კავშირში 54-ჯერ გაიზარდა. ქვეყნის სახალხო მუშაობების მშრომელთა ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებასა და მხარუნეველობას ინიუნენ სახელოვანი საბჭოთა მშრომელი ქალებისადმი. სამშობლო მათ აღლევს არა მარტო შრომის უფლებების გარანტიას, არამედ უზრუნველყოფს შესაძლებლობას მთლიანად გამოეყოლინენ მთელი თავისი ძალი და უნარი. 3.800-ზე მეტი საბჭოთა ქალი ატარებს სპეციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებას. 91 ქალი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირის ოქრის ვარსკვლავით.

რა არის დამასახათებელი წლებიდანელი საერთაშორისო ქალთა დღესასწაულისათვის?

მ მარტის დღესასწაული ემთხვევა ქალთა მსოფლიოს კონგრეს-

სისათვის მზადებას. კონგრესი მოწვეულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით ივნისში ფინეთის დედაქალაქ ქელსინკიში. კონგრესის თემა ქალის როლი თანამედროვე მსოფლიოში. ამ კონგრესში მონაწილეობის სუბიელი უკვე განაცხადეს ყველა კონტინენტის ეროვნულმა ორგანიზაციებმა და მთელმა რიგმა საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციებმა. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ საბჭოთა დელეგაციას დაავალა გააკეთოს მისხეება „ქალი და შრომა“.

დისკუსიაში მთხოველოვია ადგილს დაიკავებს საკითხი — ექტანამული დობილებიადის მსოფლიოს ქალთა სოლიდარობა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მათ სასართლავო ბრძოლაში.

ჩვეუი ქვეყნის ქალები, განავრტობს ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა მხარს უჭერებს მსოფლიოში ყოველივე მოწინავეს, ყოველივე პროგრესულს, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მათც გულსწყრომით დაგმეს ისრავლის აგრესია ახალი ხალხების წინააღმდეგ. დღითი დღე ფართოვდება სოლიდარობა საბერძნეთის დემოკრატიულმა, პორტუგალიასა და ესპანეთში, ანგოლასა და მოზამბიკში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში თავისუფლებას და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებთან. საბჭოთა ქალები მტკიცე პროტესტს აცხადებენ ევროპის ცენტრში ნაცისმის აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის ქალებისადმი მიმართვაში საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები მოუწოდებენ მათ იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად, ამ მივეს უფლებს მილიტარიზმის მშაბითი მოწამობს გერმანული ბავშვები.

საბჭოთა ქალები კვლავაც განადიდებენ თავის სამშობლოს შრომაითი გმირობის, ძალღონეს არ ზღუავენ თავისი სოციალისტური სამშობლოს განსამტკიცებლად, მინაწილეობას მიიღებენ კომუნისმის მშენებელი თავისი ხალხის ყველა საქმესა და მიღწევაში. იაინი მუდამ დაუჭერენ მხარს საზღვარგარეთის ქვეყნების ქალებს იანამედროვე მსოფლიოში ღირსეული ადგილისათვის ბრძოლაში, თავისი პირადი მავალითი ხელს შეუწყობენ მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის განვითარებას.

ინფორმაცია

პარიზში გაიხსნა ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა. მისი თეიმთყოფადი შემოქმედებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. მრავალი თავყანისმცემელი ჰყავს ნ. ფიროსმანაშვილის ფერტილოებს საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. მარნან ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა პოლონეთის საზოგადოებრიობამ. მიმდინარე წელს კი მხატვრის 85 სურათი გამოიფინა მსოფლიოს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში — ქალაქ პარიზის ლევიის სახალის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში.

ფრანგულ პრესაში გამოიფინა გახსნა ფართოდ იყო რეკლამირებული. გახსნას მრავალი პარიზელი დაესწრო. დილის

შრომსაჲნი პარიზში


თერთმეტ საათზე საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ან დრე მალრომ სახუი-მო ვითარებაში გახსნა გამოფენა. საბჭოთა წყურთა შორის იყო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ზორინი.

გამოფენას ხელმძღვანელობენ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლევაკა.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ფრანგული ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩინებული წარმომადგენლები — ლუი არაგონი, ელზა ტრილიო, ჟაკ პრევერი, არმან ლანუ და სხვები.

ფრანგულ გახუებში გამოქვეყნდა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები, სტატიები, რეცენზიები. ქართველი მხატვრის ხელოვნებას განიხილავენ ფრანგი ჟურნალისტები, ხელოვნებისმცოდნეები, მხატვრები.

ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერულმა ტილოებმა ზარზულთა ცხოველი ინტერესი აღძრა.



კინისტა ხაერთაშორიძე
კონკურსის ლაურეატი
წინე პირაქაძე



მელა ახუარიძე — ანა ფრანკი

თბილისელებს არ გააკვირვებიათ, როცა მათთვის ცნობილი გახდა, რომ საკართველოს სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე გორის თეატრის მორიგ ახალ სპექტაკლში გამოდიოდა მთავარ როლში. სულ ახლახანს ხომ მან წარმატებით ითამაშა კაროლანას როლი დავით კლდიაშვილის პიესაში „დარისპანის გასაჭირი“. ლილი იოსელიანის მიერ გორის თეატრში განხორციელებულ

ბულ შესანიშნავ სპექტაკლთა რიცხვს ამ ახალი დადგმის სახით კიდევ ერთი საინტერესო ნამუშევარი შეემატა და კოლექტივის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში სასიხარულო ფურცელი ჩაიწერა. ამ წარმატებაში მცირე წვლილი როდი შეიტანა მედეა ჯაფარიძემაც. და, აი, სულ მალე, ისევ ამ კოლექტივში, მედეას მოულოდნელად სთავაზობენ ახალ როლს — ანა ფრანკის

როლს კ. გუდრიჩისა და ა. ჰაექტის პიესაში „ანა ფრანკის დღიური“. მედეა სიამოვნებით იღებს წინადადებას და ამასაც თავისი წინაპირობები გააჩნია: „ათი წლის წინათ მოსკოვში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს — ჩემთან მოვიდა ერთი ჟურნალისტი — მას ენახა სპექტაკლები „რომეო და ჯულიეტა“, „ჭრიჭინა“ — და გადმომცა პიესა



მელა ჯაფარიძე — ანა ფრანკი

„ანა ფრანკის დღიური“. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ანა ფრანკის როლი უნდა შეასრულოთ — მიიხრა მან. პიესამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უფრო მეტი — დღიურმა. მაგრამ პიესა ქართულ სცენაზე არ განხორციელებულა და ჩემი სურვილიც სურვილად დარჩა. რამდენიმე წლის შემდეგ ეს პიესა თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა მრედა კუჭუშიძემ დადგა. სპექტაკლს, როგორც ცნობილია, დამსახურებული წარმატება ხვდა.

როდესაც გორის თეატრის კოლექტივში „ანა ფრანკის დღიურის“ დადგმის იდეა დაიბადა — ეს იდეა ლილი იოსელიანს ეკუთვნის (სპექტაკლის დადგმა უნდა გა-

ხეზორციელებდნენ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტს ნუგზარ ლორთქიფანიძეს) და ახალგაზრდა რეჟისორმა მთავარი როლი შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი. მას შემდეგ, რაც ეს პატარა წიგნი წავიკითხე, უდიდესი სურვილი აღმებრა რაიმე წვლილი შემეტანა ტრაგიკული ხვედრის ამ პატარა გოგონას ხსოვნის საპატივცემლოდ. სიძინელები, რა თქმა უნდა, დიდი იყო, მაგრამ მონღოებამ და მზურვალე შემოქმედებითმა ატმოსფერომ ყოველივე გადაგვაღახვინა. ნიჭიერ დამწყებ რეჟისორთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან მუშაობა ძალდაუტანებელი, ხალისიანი და საინტერესო იყო. სპექტაკლის მონაწილე მსახიობთა მთელი ანსამბლი, როგორც

ყოველთვის, მაღალი პროფესიონალიზმით, სერიოზულობით, შთაგონებით მუშაობდა და შედეგიც სასურველი მივიღეთ. პრემიერის დღეს, რვა მარტს, სპექტაკლის დასასრულს, მაყურებლის გულწრფელმა ოცა-ციებმა მაგრძობინეს, რომ სხვებთან ერთად მეც გავიღე ხარკი ანა ფრანკის ხსოვნის გასაცოცხლებლად, გოგონასი, რომლის იშვიათი ნიჭიერება და სულიერი ღირსებები შემოქმედის თვალსაჩინო მიმავალს წინასწარმეტყველებენ მისეული შეწყვეტილი დღიურიდან“.

მოგუსმინით სპექტაკლის დადგმულს ნუგზარ ლორთქიფანიძესაც:

„ძალზე სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის

მთავარი რეჟისორი ლილი იოსელიანი დამთანხმდა მის თეატრში დამედგა სადიალოზო სპექტაკლი. თეატრს თავის წლებადღელ სარეპერტუარო გეგმაში სხვა პიესებთან ერთად შეტანილი ჰქონდა კ. გუდრიჩისა და ა. პაკეტის პიესა „ანა ფრანკის დღიერი“. ჩემთვის პიესაზე მუშაობა მრავალმხრივ იყო საინტერესო. პიესაში დასმული პრობლემები, ისევე როგორც ყოველ ადამიანს, მეც გულწრფელად მაღალებდა და გარდა ამისა, მძლეოდ შესაძლებლობა მემუშავნა ტეშმარტიკ, მაღალხარისხიან დრამატურგიულ მასალაზე, რაც თვალათვის დამახსებდა ყველა ჩემს პროფესულ ნაკლს.

მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოებაც. რა საინტერესო ჩანაფიქრის არ უნდა ჰქონდეს რეჟისორს, ამ პიესის განხორციელებისას სპექტაკლის წარმატებას, თუ წარუმატებლობას მაინც მთავარი როლის შესრულებელი განაპირობებს. ამ პიესის დადგმის მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ გვაყვ ანა, მსახიობი, რომელსაც შესწევს უნარი მაყურებელამდე მიიტანოს არა მარტო ანას ფაქიზი და კეთილშობილი ბუნება, მისი სულიერი სამყაროს სიღამაზე, არამედ აჩვენოს ანა-მოზარდოვნე, ანა-მოქალაქე. ანა-წუგეულო, უნიკალური მოვლენა.

რადგან ვიცოდი, რომ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედლა ჯაფარიძე დღეიდან ხანია იცნებოდა ამ როლის განხორციელებაზე, და ჩემის აზრითაც სწორედ ეს არის ის მსახიობი, რომელსაც ყველა მონაცემი გააჩნია ანა ფრანკის როლის შესრულებისათვის, შევთავაზე მას მონაწილეობა მიეღო ჩვენს წარმოდგენაში. ქალბატონ მედლას თანხმობამ საბოლოოდ განაპირობა ჩემი არჩევანი.

ჩემთვის, ახალბედა რეჟისორისთვის ამ სპექტაკლზე მუშაობა ძალზე სასიამოვნო და ზედმიწევნით სასარგებლო აღმოჩნდა. მე მომეცა ბედნიერება შევხვედროდი ისეთ მაღალპროფესიულ, ნიჭიერ კოლეგებს, როგორიცაა გორის თეატრის მსახიობთა დასი. ამ თეატრის მსახიობებს, გარდა იმისა, რომ გააჩნიათ შესანიშნავი აქტიორული მონაცემები, ისინი აღჭურვილნი არიან ტეშმარტიკად სანიმუშო პროფესიული ჩვევებითაც, რაც ამ თეატრში ნიჭიერი რეჟისორისა და პედაგოგის ლილი იოსელიანის წლების მანძილზე მუშაობის უტყუარი შედეგია. და ბოლოს, შეხვედრა ისეთ საინტერესო მსახიობთან და ისეთ იშვიათ პიროვნებასთან, როგორიცაა მედლა ჯაფარიძე!

ყოველივე ამან ზედმიწევნით გამაძვირულა ამ რთულ, მაგრამ ძალზე საინტერესო პიესაზე მუშაობა. და, ჩემის აზრით, თუ კი სპექტაკლს წარმატება ზედა, იგი მხოლოდ ამ შესანიშნავ მსახიობთა კოლეგტივის დამსახურებაა, რომელთანაც შეხ-

ვედრა, მე გვიონი, ყველა რეჟისორისთვის საოცნებია“.

ანა ფრანკი უსაზღვროდ შეიყვარა გორელმა მაყურებელმა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერს იქნა ნაჩვენები, თეატრი კვლავ ვერ იტევს მსურველებს ყოველ წარმოდგენაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მედლა ჯაფარიძის მრავალფეროვან რეპერტუარში ანა ფრანკი ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებულ ჩაიწერა. უფაქიზური ოსტატობით და ტაქტიკითა გამოკვეთილი ამ რთული და წინააღმდეგობრივი სახის ყოველი ნიუანსი. მსახიობის დამსახურება ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ანა ფრანკი მან მხოლოდ მომზიბველ გულპრყვილო, სიცოცხლით სასვე გოგონად როდი წარმოსახა, როგორც ეს შეიძლება დაემართოს მსახიობს, რომელიც მარტო დრამატურგიულ ანსა დაიყვინძოდა. პიესა, თავისთავად, ცხადია, ვერ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დახატო ანა ისეთი, როგორც იგი დღიურიდან ისახება. მედლა ჯაფარიძე ისწრაფვის მიაგნოს ზუსტ და მახვილ შტრიხებს სახის დახასიათებლად, აქა-იქ დრამატურგიის მიღმა დარჩენილ დღიურისეულ ფრაზებსაც იშველებს, რათა მეტი სიმართლე და სრულყოფილება მიანიჭოს ანას სცენურ პორტრეტს. მსახიობი აღწევს სრულ გარდასახვას, დიდ დამაჯერებლობა და ემოციურ სიმამურეს გოგონას სულიერი ძურების, მის გინძობათა გამის გადმოცემისას.



მედლა ჯაფარიძის გატაცებულმა, ტეშმარტიკად შთავიწინებულმა, მედლაჯარე შრომამ საოცნებო სახის ზორცმესასხმულად ასეთივე მედლაჯარე და შთამბეჭდავ წუთებს გვაჩიარა.





სენა ბალუტიან „ღონ კიხობი“, III მოქმედება

ქართული ბალეტისტარი პარუაქუმი

გიორგი დოლიძე

(ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი)

საზღვარგარეთ პირველად მოგზაურობის შემდეგ ხშირად უოქვამით: პირველად ვიგრძენი თავი უცხოელადო. ამ სტრიქონების ავტორმა კი, თუ შეიძლება ითქვას, მთელი სისავსით ვერ განიცადა ეს გრძნობა — ვარშავის აეროპორტშივე დამხვდა იქ

მცხოვრები ქართველი კინორეჟისორი კონსტანტინე ციციშვილი, რომელმაც იმ წამსვე გამაქროლა მეორე „ვარშაველ“ ქართველთან — ცნობილ ბალეტმაისტერ ალექსი ჭიჭინაძესთან.

ვარშავის დიდი საოპერო თეატრი.

რომ იტყვიან, „გემიდან პირდაპირ მეჯლისაზეო“, ასე მომივიდა, თეატრში პრემიერის მოახლოება იგრძნობოდა. კ. ციციშვილმა რაღაც ლაბირინთებში გამაძვინა და მაყურებელთა ვეებერთელა, ჩაბნელებულ დარბაზში აღმოვჩნდი.

საზღაპრებო



მხოლოდ სცენა და ორკესტრი იყო განათებული. გენერალური რეჟერტიკა მიდიოდა, დარბაზის შუაგულში სახელდახელოდ აღმართული პულტიდან, ენერგიული მამაკაცი მიკროფონით განკარგულებებს იძლეოდა. ნაცნობი ტერმინებით ვხვდებოდით, რომ იგი მითითებებს აძლევდა ხან დირიჟორს, ხან სცენის მენეჯერსა და განათებლებს, ბალეტის სოლისტებს. უცბად წამოხტა, ჩამოიარა და სცენაზე აიჭრა. როცა მასში ალექსი ჭიჭინაძე შევიცანი, განეცვიფრდი — ჩვენი თანამემამულე რეჟერტიკას უთარჯიმოდ ატარებდა. პრემიერის წინა ღამეს კი ალ. ჭიჭინაძე ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა და ძალზე საპასუხისმგებლო ინტერვიუ პოლინურ ენაზე ჩაატარა.

ალექსი ჭიჭინაძე



ვსივარ ჩაბნელებულ დარბაზში და ცნობისმოყვარეობით შეგვეჭირო ყველივებს, რაც აქ ხდება... (ალექსი იმ დღეს მულოდებოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ უკვე დარბაზში ვიყავი. არ მინდოდა ხელი შეშეშალა ჩემი გამოჩენით). ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს... მე კი ფიქრებში წასული აღ. ჭიჭინაძის ძალზე საინტერესო შემოქმედებით ბიოგრაფიას ვისწავნიდი.

მამამისი — პროფესორი ბესარიონ ჭიჭინაძე, ცნობილი ქართული საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დისწული იყო და ადრე დაიღუპა. დედამ ალექსი მოსკოვში წაიყვანა და დიდი თეატრის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიამარა. სტუდიის წარმატებით დამთავრებისთანავე მან რამდენიმე ხანს დიდ თეატრში იმუშავა, შემდეგ კი მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში გადავიდა, აქ ატარებს იგი მიუღ თავის შემოქმედებით ცხოვრებას. ალ. ჭიჭინაძე დიდი წარმატებით ასრულებდა მთავარ როლებს ბალეტებში: „ქანა ღარიკი“, „ესმერალდა“, „მსკარადი“, „შტრაუსიანა“ და სხვა.

როგორც მოცეკვავემ დიდი აღიარება მოიპოვა ახალგაზრდობისა და სტუდენტობა პრალის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მას ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. მაგრამ ალექსის თავიდანვე იტაცებდა ქორეოგრაფიული კომპოზიცია. ჯერ კიდევ 1945 წელს ქ. პერმის საოპერო თეატრში განახორციელა პირველი დადგმები, რომელთაც პრესა და მყურებელი მოწონებით შეხვდა.

1955 წელს ალ. ჭიჭინაძემ წარმატებით დამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმასტერო განყოფილება (პროფ. ლაროვსკის ჯგუფი) და

ბოჟენა მადვი





პაოლი — გ. ვილი, ფრანესკა — რ. სტეჩენკო

საკუთარი ლიბრეტოთი დადგა სადილო-
მო სპექტაკლი — გლიერის „კასტილიის
ქალიშვილი“.

„მარტო ის ფაქტიც საყურადღებოა —
წერდა გაზეთი „კომსოლოსკაია პრავ-
და“, რომ თეატრმა ახალგაზრდა რეჟი-
სორს მიანიბო ახალი და ორიგინალური
სპექტაკლის დადგმა. ამით თეატრმა იკი-
სრა როგორც ბალეტმასტერის, ისე მთელი
ბალეტის დაბადების პასუხისმგებლობა...
უეატრის შემოქმედებითმა ექსპერიმენტმა
შთიანად გამართლა იმედი“.

მომდევნო წლებში ალ. ჭიჭინაძემ განა-
ხორციელა მრავალი საინტერესო დადგმა,
მათ შორის „ტყის ფერია“, „ორქიდის
ლეკენა“, „ფრანესკა და რიმინი“. ამავე
დროს როგორც მოცეკვავე და ბალეტმას-
ტერი წარმატებით გამოვიდა სასულავარ-
ეთ — ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთ-
ში, ბულგარეთში, კოლანდიაში, მონღო-
ლეთში, პოლონეთში და სხვ.

პარიზში გასტროლების დროს „გრანდ
ოპერაში“ ფრანგული ბალეტის „ვარსკვ-

ლავებს“ ივეტ შოიერსა და მიშელ რენის
დებიუსის „მთავრის შუქის“ მიხედვით და-
უდგა ქორეოგრაფიული პიესა. ასე დაიწყო
ნამდვილი შემოქმედებითი მეგობრობა,
რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა
1958 წელს ფრანგული ბალეტი სავასტ-
როლად მოსკოვს ეწვია. პრიმაპალერინა
ი. შოიერს თხოვნით ალ. ჭიჭინაძემ სპე-
ციალურად მისთვის დადგა ნაწევრები
„ფრანესკადანი“. გაზეთი „სოვეტსკაია
კულტურა“ წერდა, რომ ი. შოიერე დი-
დად მოხიბლა საბჭოთა ბალეტმასტერის
ღრმად ემოციურმა ნამუშევარმა.

1960 წელს ალ. ჭიჭინაძე კოლანდიაში
მიიწვიეს „ფრანესკა და რიმინის“ დასად-
გმელად. 1961 წლის 16 ივნისს ეროვნულ
ფესტივალთან დაკავშირებით შედგა ამ
სპექტაკლის პრემიერა. 20 ივნისს „პრავ-
დას“ და „იზვესტიას“ ფურცლებზე საკდე-
ნის ცნობა იუწყებოდა: „როგორც ერთ-
ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოები,
ფესტივალის პროგრამაში წელს შეიტანეს
ჩაიგოვსკის მუსიკაზე აგებული ბალეტი

„ფრანესკა და რიმინი“ კოლანდიის სამე-
ფო ბალეტის მსახიობთა შესრულებით.
დამდგმელად მიიწვიეს საბჭოთა ბალეტ-
მასტერი ალ. ჭიჭინაძე... 16 ივნისს შედგა
პრემიერა, რომელმაც უდიდესი წარმატ-
ებით ჩაიარა“.

1962 წელს ალ. ჭიჭინაძემ სოფიის სა-
ოპერო თეატრში განაახლა „ვედის ტბა“,
ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებში კი
22 კონცერტი გამართა. 1963 წელს იგი
მონღოლეთში მიიწვიეს. ულან-ბატორის
საოპერო სცენაზე განახორციელა რიმსკი-
კორსაკოვის „შეპერხვალს“ და „ფრანესკა
და რიმინის“ დადგმები.

1964 წელს ალ. ჭიჭინაძე უკვე პოლო-
ნეთშია. ვარშავის დიდ თეატრში ახალი
რედაქცია გაუკეთა „დონ კიხოსი“. პრემი-
ერის დროს, სწორედ მაშინ, როცა წარმა-
ტებით დამთავრდა პირველი აქტი და თე-
ატრის კულისებში დიდი ფაყა-ფუკი იყო,
საქართველოს რადიოს კორესპონდენტი
დომინტი კიკვიძე და ამ სტრეჩენკის ავტო-
რი ტელეფონით დაუკავშირდნენ ვარშავას.



ქიზელი — ე. იარიანი, მირტა — კომპლექსოსკა

საუბრის შინაარსი გამოქვეყნდა როგორც პრესაში, ისე გადაცა საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით.

ამავე წლის დასასრულს მისკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში ალ. ჭიჭინაძემ განახორციელა ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის ბალეტი „პოემა“, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა ცენტრალურმა პრესამ. 1965 წლის ნოემბერში, როგორც იქნა, ალ. ჭიჭინაძე თბილისში მიიწვიეს... პირველად წარსდგა იგი ქართული მაყურებლის წინაშე. 1966 წლის 3 იანვარს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა ერთაქტიანი ბალეტების პრემიერა, რომელშიც გაერთიანებული იყო „დონ კუანი“, „ფრანჩესკა და რიმინი“ და „პოემა“.

1967 წელს ალ. ჭიჭინაძე კვლავ მიიწვიეს პოლონეთში, ამჯერად როგორც ვარშავის დიდი საოპერო თეატრის საბალეტო

დასის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი ბალეტმასტერი.

და აი, დადგა პრემიერის დღე, რომლისადმი უდიდეს ინტერესს მიწოდდა არა მარტო მრავალფეროვანი რეკლამა, არამედ ტელევიზიისა და პრესის ცხოველი ინტერესიც. ვარშავის საღამოს გაზეთმა „ექსპრესმა“ საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ როგორც ტელეგადაცემაში, ისე საგაზეთო ინტერვიუში კითხვაზე თუ რატომ აირჩია მან მაინცდამაინც „ქიზელი“, ალ. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ბალეტი „ქიზელი“, „გედის ტბასთან“ და „მძინარე მზეთუნახავთან“ ერთად, მუდამ უნდა იყოს ყველა საოპერო თეატრის რეპერტუარში, „მას გარდა, მუსუს ეს ცნობილი ბალეტი სრულიად ახალი რედაქციით დავდგაო.“

პრემიერის ისეთი წარმატება ხვდა, რომ გაზეთმა „სლოუი პოემუნემ“ ერთხმად აღიარა — ასეთი შესანიშნავი სპექტაკლი დიდი თეატრის ახალ შენობაში ჯერ არ

დადგმულაო (დასი უკვე მესამე სეზონია ახალ შენობაში მოღვაწეობს, იგი თანამედროვე საოპერო თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად არის აღიარებული).

მაინც რამ განაპირობა „ქიზელის“ ვარშავული პრემიერის ასეთი წარმატება? რა ცვლილებები შეიტანა ალ. ჭიჭინაძემ ამ ბალეტის ტრადიციულ რედაქციაში? რამდენად მიზანშეწონილი იყო ეს სისაღიანი?

ბალეტი „ქიზელის“ სიუჟეტური ჭარგა აგებულია ტრადიციულ „სამკუთხედზე“: სოფელ გოონა ვიზელსა და ალბერტს უყვართ ერთმანეთი. ალბერტი — გრაფია, თუმცა იგი ვიზელის წინაშე გულუხაკის ტრინაკემში წარსდგება. თანასოფელი მეტყვევებს კანის ეტრფის ვიზელს, მაგრამ ამაოდ. პანსი ცილილოს როგორც ხელი შეუშალის ვიზელისა და ალბერტის ბედნიერებას. მას ეჭვი ემატება, ალბერტის ვინაობაში. იგი შეიპარება ალბერტის სახლში, სადაც მიაგნებს ღერბიან ვერცხლის დანძას, რომელიც მისი მფლობელის დიდ-

გაროვან ჩამომავლობაზე მეტყველებს. გახარებული კანსი გადაწყვეტს შერი ძიის მტრტყეზე... ასეთი ექსპოზიცია აქვს „ეჩი-ზელს“ მსოფლიოს ყველა თეატრში, მათ შორის, თბილისშიც.

ტიტონაძისეულ დადგმას კი დადგმა პროდუცია, რომელშიც ნაჩვენებია აობრ-ტის გადაცმა. ამ ერთი ხანმოკლე მიზან-სცენით მისი „საქმე“ გაკეთდა“. ამასთან კანსი, საკუთრივ გრავ ალბერტის მეტყვევებადა, ე. ი. კანსმა თავიდანვე ყველაფერი იყავის. ამ ცვლილებებმა გამოიწვია კანსის სახის დრამატისორება, ამას კი მოჰყვა მის ჭოჭორვარაფილ პარტიანი ტრადიციული პანტომიმური გამომსახველობის უარყოფა. ამრიგად სპექტაკლში კანსის სახე დატრანზორდა გააქტურებულა, მასში თითქმის იავსა და მურმანისეული ბოზორტი სული ბობოქრობს. ამასთან კანსს სოციალური მდგომარეობით ისე აქვს ხელფეხი შეზორკალი, რომ ეჩიზელ ვერც უმხელს სიმართლეს. ამიტომაც ბობოქრობს იგი, უუფლებობის გამო არ იცის როგორ დატრანზორდოს მულეარება, მკვი, სიყვარულის ტანჯვა, შურისძიების აზვირ-თუფული გრძნობა. აი, ასე განდა გაოგნებულ კანსის ბრწყინვალე მონოლოგი, რომლის ძალზე ტემპერამენტული „ამეტიყველებით“ სტანისლავ შიმანსკი თითქმის მეტეორივით გაიუღვებს სცენაზე და ერთი-ანად „წვავს და ბუგავს“ ყველაფერს (სხვათა შორის აქვე აღვნიშნავთ, ს. შიმანსკი თავისი მაღალი ხელყოფებით გამოირჩევა პოლონეთის ბალეტის სხვა მსახიობებისაგან).

მოხდა სხვაგვარი ცვლილებებიც, რაც ძირითადად პანტომიმის გაუქმებას მოჰყვა (სპექტაკლში აღარ მონაწილეობენ ეჩი-ზელის დედა, ალბერტის საცოდეს მამა), ამოვარდა ტრადიციული რეჟიჟისის ნატურალისტური ელემენტები, სახელდობრ ეჩიზელის ამოსვლა საფულიდან, „ვილიეუ-

ბის“ მიერ კანსის გადადგმა ტბაში... განსაკუთრებით მისასაღმებელია ხალხური ცვკვების სიუჟე. რომანტიული ელფერი ელფევა ფინალს — სასოწარკვეთილი ალბერტი მუხლებზე ემობა, ვერ გარკვეულა — სინამდვილე იყო ყოველივე ეს თუ სიზმარი.

ყველა ამ ცვლილებისათვის საჭირო მუსიკალური მასალა აღ. ტიჟინაძემ გამოძიხა „ეჩიზელს“ პირველ რედაქციამ, რომლის მიხედვით ეს ბალეტი დაიდა 1841 წელს პარიზის „გრანდე თეატრში“. ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი გამოდა ბალეტმასტერის შემოქმედებითი კავშირი დირიჟორ ბოგუსლავ მაღისთან.

პოლონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრეანიმ „ტრი-ბუნა ლუდუშ“ მაღალი შეფასება მისცა პრეფერის. რეჟისიაში ხაზგასმული და მოწინებულა ბალეტმასტერის შემოქმედებითი გაბედულება.

„ჩვენმა სტუმარმა ალექსი ტიჟინაძემ, რომელიც ვარშავის დიდი თეატრის მთავარი ბალეტმასტერის ფუნქციას ასრულებს, შევცავა ლიბრეტო და მუსიკალური რედაქცია, პარტიტურა შეავსო ფრე-მენტებით, რომლებიც წინათ არ სრულდებოდა, სპექტაკლი რომ მთლიანად ცქვით გადაეწყვიტა, ამისათვის არ შეუშინდა შემსერებებს. სწორედ ამიტომაც, სპექტაკლიდან ამოვარდა პანტომიმური სხეები. აღ. ტიჟინაძემ წარმატებით განახორციელა თავისი ჩანაფიქრი, რითაც განუზომილად ამაღლდა მოღვენათა მნიშვნელობა და დრამატისტი.

მაგრამ, სპექტაკლის მთავარი მიზანი იყო — ჩვენი საბალეტო კოლექტივის საშემსრულებლო დონის ამაღლება, აქვე მიღწეულია დიდი წარმატება. მაყურებელთა დარბაზმა ნათლად გამოხატა თავისი შეფასება, როცა მექსარე ტაშით აღნიშნა სპექტაკლის დამთავრება, რომელიც უჩვეულა სიმსუბუქეთა და რეინისებური დისციპლინით შესრულდა“.

დასასრულს, მკითხველს მინდა წარუდგინო დირიჟორი ბოგუსლავ მაღი, რომლის შემოქმედებითი მუგობრბა ჩვენს ხელოვან თანამემამულესთან 1964 წელს დაიწყო, მასში როდესაც აღ. ტიჟინა-

ძემ ვარშავაში „დონ კიხოტი“, განაზალა ნიჭიერი კომპოზიტორი და დირიჟორი ლეცენტი ბოგუსლავ მაღი დაიდა 1932 წელს. მუსიკალური განათლება პოხანში მიიღო პროფ. ვლ. ლევანდოვსკის ხელმძღვანელობით. შემდეგ სწავლა განაგრძო ლონდონში, სადაც სადირიჟორო კურსს პროფ. ნორანს დღე მართიანად გადიოდა, კომპოზიციისა კი პროფ. რ. ჯოუნსთან.

1958-59 წ. წ. ბოგუსლავ მაღი ფორტეპიანოს ასწავლია ვარშავის კონსერვატორიაში და დირიჟორის ასისტენტა ფილარმონიაში. 1960 წელს ვარშავის დიდ თეატრში იწვევენ დირიჟორად, ამავე დროს კლასს აძევენ საოპერო სტუდიაში, 1961-66 წ. წ. ბოგუსლავ მაღი ხელმძღვანელობს ვარშავის პიონერულ ორკესტრს, რომელმაც მრავალ საერთაშორისო კონკურსში მთიოჰვა გამარჯვება.

დღესინტი ბოგუსლავ მაღი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. მას რეპერტუარში 20-ზე მეტი საოპერო და საბალეტო სპექტაკლი, სწორად ხელმძღვანელობს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრს. განსაკუთრებით პოპულარობა მოიპოვა იმით, რომ თიხვერ ზედიზედ უდირიჟორა საერთაშორისო ფესტივალის „კარმეული შემოდომის“ პროგრამას. მაგრამ იგი მხოლოდ სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებს პროპაგანდით როდელ „კმაყოფილდება“. ნიჭიერი კომპოზიტორის ბოგუსლავ მაღის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც პოლონეთში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მისმა „ფანტასტიკურმა სკერცომო“ სრულიად პოლონეთის კონკურსზე სპეციალური ჯილდო დამსახურა, იგი წარმატებით შესრულდა საჭოთა კავშირშიც. ასევე მოწინებულა ისმა ჩვენში მისი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და სხვ.

ამავალდ. მაღი დიდ ინტერესს იჩენს ქართული მუსიკალაში. ეს გასაკვირი არის — წელს მან უნდა უდირიჟორის სულხან ცინცაძისა და ბიძინა კვერციანის ბალეტებს, რომელთა დადგმაც ვარშავის დიდ საოპერო თეატრში უკვე დაგეგმილი აქვს ალექსი ტიჟინაძეს. ვიმედოვნებთ, რომ ეს კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი იქნება პოლონელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.





ბაბო გამრეკელი. 1926 წლის ფოტო

სიბოცსლე თეატრში

ნელი ჩაჩავა

ბაბო გამრეკელი კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი პირველი მოწაფეა. იგი ერთადერთია ქართველ მსახიობთაგან, რომელიც მოსკოვის „თავისუფალ თეატრში“ მასთან მუშაობდა 1913 წელს. ახალგაზრდული ინტერესით, დიდი სიმეჯითით ითვისებდა მარჯანიშვილის მიერ სინთეზური თეატრის შესახებ ჩამოყალიბებულ თეორიულ შეხედულებებს, რამაც პირველი და მკაფიო პრაქტიკული გამოზატულება ჰპოვა „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლებში.

ბ. გამრეკელი მარჯანიშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგაც ამ დიდი რეჟისორისათვის სასურველი მსახიობი გახლდათ. პლასტიკურობა, მუსიკალობა, რიტმის მახვილი გრძნობა, შემოქმედებითი უშუალობა — ყოველივე ეს მომადლებული ჰქონდა ახალგაზრდა შემოქმედს.

ბარბარე ალექსანდრეს ასული გამრეკელი დაიბადა ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. დედა — მარიამ მესხი, იმ ოჯახიდან იყო,



საიდანაც არა ერთი და ორი ცნობილი სასოგადო მოღვაწე გამოვიდა: გაზეთ „დროების“ რედაქტორი, „რანდი ქართული პუბლიცისტიკის“, სერგი მესხი, მსახიობები კოტე და ვეფხია, დავითი — ცნობილი იუმორისტი და მსახიობი, ანა — „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მცოდნე, მთარგმნელი, კოტე მარჯანიშვილი მარიამ მესხის ბიძაშვილი იყო. მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე თავის მოგონებებში წერს: „უცნაური ოჯახია... ყოველ წვერს შინაგანი ღმერთი მიზიდავდა კულტურული საქმიანობისაკენ, და ვინც თვით ვერ შეიტანა წვლილი ოჯახის ვალის გადასახად, იგი სამაგიეროდ ზრდიდა შვილებს. ჩვენი თეატრის დამამშვენებელი მსახიობები ბაბო გამრეკელი და ვერიკო ანჯაფარიძე... ორივე დედით ამ საკვირველი ოჯახის შვილები არიან“.

სულ პატარა იყო ბაბო, ქუთაისის თეატრში რეპეტიციებს რომ

ესწრებოდა ხოლმე. 12 წლის იქნებოდა, როცა მისი ოჯახი ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდში ბაქოში მუდმივად თეატრში მსახიობად დასი არ არსებობდა. წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე რეინიგვის კლუბში, ბალახანასა და ნავთობის სარეწაო უბნებში სცენისმოყვარეთა პატარა წრის მიერ, რომელსაც იმხანად ბაქოში მყოფი ვეფხია მესხი და ქეთევან ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდნენ. რა თქმა უნდა, ბაბო გამრეკელი ამ წარმოდგენების ერთ-ერთი აქტიური მსახიობები გახლდათ. მისთვის სწორედ რომ დღესასწაული იყო, როდესაც თბილისიდან საგასტროლოდ ჩადიოდა დასი. ჩადიოდა ბიძამისი კოტე, ლადო მესხიშვილი, შაკო საფაროვა-ამაშიძე, ელენე ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნიან. იკრიბებოდნენ ბ. გამრეკელის ოჯახში, დგამდნენ პიესებს.

1909 წ. გამრეკელების ოჯახი საცხოვრებლად მისოკოში გადავიდა. 1913 წელს ბაბო ამთავრებს გიმნაზიას და ფიქრობს თეატრში მუშაობაზე. იგი მეცადინეობს დრამატულ კურსებზე. დგება ბენდინერი დღეც: ვერა დიმიტრის ასული ეივოკინა (კოტე მარჯანიშვილის ცოლის და) ატყობინებს ბაბოს, რომ კოტე მას თეატრში იბარებს.

ბაბო გამრეკელი „თავისუფალ თეატრში“ მიიწვიეს. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიხარული. თეატრმა, რომელმაც საყოველთაო აღიარება მპოვა, იმის გამო, რომ არ ეძლეოდა სახელმწიფო სუფსიდა, მხოლოდ ერთი წელი იარსება.

დასმა ბრწყინვალედ განახორციელა ხუთი სხვადასხვა დადგმა:

ბაბო გამრეკელი სპეტაკლში „სორანინის ბაზრობა“



„ჩატხილი ხილი“ (ენეინა ელისაბელი)



ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, კლასიკური ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, პანტომიმა „პიერეტას მანდილი“, ჩინური პრიმიტივი „ყვირული კოფთა“ და ფრანგული მელოდრამა „არლუზიელი ქალი“.

„ჩემს მესხიერებაში არასოდეს წაიშლება... თავისუფალ თეატრში“ გატარებული დღეები, — ამბობს ბაბო, — მაგრამ ორი დღე მაინც განსაკუთრებით ჩამჩრა მესხიერებაში: თეატრის გახსნის დღე — პრემიერა „სოროჩინის ბაზრობა“... ბრწყინვალე გამარჯვება, ოცნებები, ტრიუმფი, სიხარულის ცრემლები... წინ კი იმედი. მთორე — თეატრის დახურვა. იგივე „სოროჩინის ბაზრობა“, უამრავი მაყურებელი. უკანასკნელად ემშება „თავისუფალი თეატრის“ ფარდა. მთელი დარბაზი მარჯანიშვილის იხმობს... მსახიობებს ხელით გამოჰყავთ იგი, ქვიინებს მთელი სცენა, მთელი დარბაზი“.

ბაბო მუშაობას იწყებს მოსკოვში, სახალხო თეატრში.

1915 წელს გამრეკვლების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. ბაბო მშობლიურ სცენაზეა. პარალელურად სწავლობს კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე.

თბილისში ამ დროს მუდმივი დასი არ არსებობდა. რეჟისორმა ქორეომა იგი ქუთაისში მიიწვია, სადაც ზედიზედ მოუხდა მუშაობა სახვადსახვა როლზე: ჰანელე პაუტემანის „ჰანელეში“, ტრუდა ზუდერმანის „ივანოვის ღამეში“ და ციციანათელა შიუკაშვილის „ციციანათელაში“.

„ჰანელეს“ დადგმა ქართულ სცენაზე მის. ქორელის დამსახურებად უნდა ჩითვალოს. სპექტაკლის წარმატება დიდად განაპირობა ჰანელეს როლის შესანიშნავმა შემსრულებელმა — ბაბო გამრეკელმა, რომელმაც შესძლო ღრმად ჩასწვლილობა როლის არსს.

„ნიწოშვილის გურია“ (ქალი კანა)




ბაბო გამრეკელი 1913-1914 წ. წ.

„ჰანელე“, რომელშიაც მთავარ როლს ბარბარე გამრეკელი ასრულებდა, შესანიშნავი იყო თავიდან ბოლომდე. ამ როლში იგი ვერაჟინ შესყვალა. ბაბო აუდიტორიაზე ძალიან მოქმედებდა. რამდენიმე ადამიანს გულიც შეუწუხდა, მეც ვმონაწილეობდი უსიტყვო როლში და საშუალება მქონდა სცენიდან ალტაცებთ მედვენებინა თვალყური ბაბოს არაჩვეულებრივად ბრწყინვალე თვალმისათვის.

ავადმყოფი ბავშვის როლში ქორეომა აირჩია ბაბო: ბაბოს გარდა ამ როლს ვერაჟინ ითამაშებს! ვფიქრობ, რომ ავტორსაც კი უკეთესად ვერ ექნებოდა ჰანელეს სახე წარმოდგენილი“.

1918 წელს საფრანგეთთან ჩამოსვლა რეჟისორმა გიორგი ჯაბადარმა თბილისში ჩამოაყალიბა სტუდია — თეატრი, სადაც სწავლობდნენ ვ. ანჯაფარიძე, მ. ქიაურელი, ა. ვასაძე, მ. ლორთქიფანიძე, მ. გელოფანი, შ. დამაშიძე, ანეტა ქაქიძე და ბაბო გამრეკელი.

1920 წელს სტუდიის ბაზაზე დრამატულმა საზოგადოებამ



შექმნა დრამატული თეატრი, რომელიც 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრად ჩამოყალიბდა.

1922 წელს ქართულ თეატრში მოვედინა კოტე მარჯანიშვილი. „ეს სახისარული ამავეი, რა თქმა უნდა, ძლიერ განვიცდი, როგორც მისმა მოწაფემ. — იფრინებს ბაბო. — თავიწონი გამიღვლა მარჯანიშვილის მიერ შექმნილი „თავისუფალი თეატრის“ მიღწევებმა. ვიციდი როგორ განაღებქმნიდა მარჯანიშვილი ჩვენს თეატრს, ვიცოდი რა იყო კოტე მარჯანიშვილის მოსვლა ჩვენთვის, მსახიობებისათვის“.

„ცხერის წყაროს“ პირველი სპექტაკლი ახალი ქართული საბჭოთა თეატრის დაბადების დღეა. ბაბო ამ სპექტაკლში ორ პატარა ეპიზოდურ როლს ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მრავალი მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა შესრულებული, მაინც იღვავდა.

ერთ-ერთი როლი იყო პატარა ესპანელი ბიჭისა, რომელსაც უკანასკნელ მოქმედებაში, მოსამართლესთან დაკითხვის დროს კალათი აწავსებს, მატრამ ამ ბავშვიმ კიდევ უფრო ლევიდება მტარვალთა მიმართ სიბუდელო, თავისუფლების სიყვარული და მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, შეგითხზავს: „ვინ მოკლა კომანდორი“ — ამაზე დასუბნის: „ფუ-უ-რ-ტ-ე-ფ-ე-უ-ხ-უ-მ-ა“! დარბაზი ამ სიტყვებს ტყავით ეჩმაშურებოდა. იმდენად ძლიერი იყო ეს სცენა და იმდენად შთაბამებდავი სახე შექმნა ბაბომ, რომ ამ სპექტაკლის მნიშვნელოს შესაფერვებში არასოდეს ამოიშლება.

უფრო მოვიანებით ბაბომ ამავე სპექტაკლში კიდევ ერთი საინტერესო სახე შექმნა. ეს იყო დიდგვალთა იზაბელა.

1928 წელს ბაბო ახლად ჩამოყალიბებულ მოზრად მაყურებელთა თეატრშია. იგი ერთ-ერთი დამაარსებელია ამ თეატრისა. ეს მუშაობის პერიოდში დიდ პოპულარიზაციას სარგებლობდა როგორც მსახიობი, როგორც თეატრისავე ხელოვნების დიდი მცოდნე. პირველად ელოპას როლი განასახიერა „ფრიც ბაუერნი“ და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ფრიც ბაუერნი“ გაიხანა მოზრად მაყურებელთა თეატრის პირველი სეზონი. ელოპას მიჰყავდა სესილი — „რობინ გუდში“, ბარბარუჩი — „კაკი შავი სიციველეთი“ და სხვ.

წლიდანწლებით შემდეგ ბაბო კვლავ გაადის კ. მარჯანიშვილთან.

მარჯების როლში (ანტიონოვის „შვის დაბნელება საქართველოში“) იგი წარმოვიგონასხავდა „პანსიონში“ აღზრდილი ქალიშვილის სახეს, რომელიც არ ვერიდებოდა ვეატარა თვასში მიღებული ძველი ადამ-წყების დარღვევას და სიხარულით და ახალგაზრდული სიანითი მიპყვებოდა პაემანსუ თავის შეყვარებულს — ჩემშკაყს (ვ. ვილიამსონი). ისინი მღეროდნენ სატრფიალოდ დღეებს. ეს იყო სისხალისი, გულთბილი თეატრის აღსავსე სცენა. ბაბო გამირეკული ამ რთულ პარტიას ისეთი სიმსუბუქით, გრაციოზულობით და მომხიბვლელობით ასრულებდა, რომ მაყურებელთა აღტაცებას იმსახურებდა.

„ნიწოშვილის გურია“ იყო სპექტაკლი, რომელიც დიდი რეჟისორის მოწაფეებმა პირველად განახორციელეს უმარჯანიშვილოდ (1933 წ.) ქალაქიანის როლი ამ სპექტაკლში ერთ-ერთი სრულყოფილი სახე იყო. ეს ხანში შესული გლეხის ქალი, რომელიც უღვთო შრომით, ტანჯვამ, უსამართლობამ გააყვარა, გააბირობა, თვით იცევა სხვისი უბედურების მიზეზად. ბაბო ამ სახეს ხატავდა მკაფიოდ. ნაღვალ ვლინდებოდა გულჩათხრობილი ქალის მონაგანი ტკივილები. აღნიშნული ორი სულ სხვადასხვა ხასიათის როლი ბაბომ თანაბარი ზომიერებით და დიდი სიმართლით შეასრულა.

მსახიობი არასოდეს ემყოფებოდა ერთხელ მიღწევლით. ამ პერიოდში მას მოუხდა მუშაობა სრულიად განსხვავებულ როლებზე: პანელე და ისახარ („ღალატა“), ფაიზოშ („სამშობლო“), მიგირინია („დარისპანის ვასპატარი“), გრაფინია ალმაგვი („ფეფაროს კორწინება“), გერმანელი დიასახლისი („იცა რიენანშვილი“).

ლი“), ცაბუ („ნაბერწვილიდან“), ნუნია („სამანიშვილის დღიდან“), ვალი“, დარვანა („ვიორჯი საყაყე“), ვვა („მითი ამავეთ“) და სხვ.

ბაბო გამრეველი ახერხებდა ნუნიას („სამანიშვილის დღიდან“), ვალი“ და ცენია ელისაბედის („ჩატკილია ხილი“) ეპიზოდური სახეების შთაბეჭდავად წარმოსახვას. ზომარშეს „ფეფაროს კორწინებაში“ გრაფინიას ანასხიერებდა და ჰქმნიდა სრულიად თავისებურ იერსახეს.

მეტად მნიშვნელოვანი იყო მსახიობის ცხოვრებაში 1925 წელი, როცა ქართულ სცენაზე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახლებურად ამოტყველდა შექსპირის უკვავა, „პამელა“. ამ დღეს შეხვას ფრთხილ ბაბოს აღინდებულ იცნებას. ნიჭმა და ენერჯიამ, საქმიანობამ სიყვარულმა და შრომისუნარიანობამ შეაძლებინა ღრმად ჩასწვდომოდა შექსპირული თეატრის, თველითა უაღრესად ფსიქოლოგიურ სახეს. ამ იერსახეში ნათელიყო, თუ როგორ შეეჭრა თველია მსხვერპლად კავთომუღებებსა და სიყვარულს, ინტრიგებს და ბიოტეტებს. მძიმე ხვედრმა, რომელსაც ვერ გაუმკლავდა იგი, სამუდამოდ დაღუპა.

ერთ-ერთი სახასიათო როლი, რომელიც ფაქტოდ გააზრებით შექმნა ბაბომ, იყო გერმანელი დიასახლისის როლი „იცა რიენანშვილიში“. ეს იყო მხატვრულად სრულყოფილი სახე, აღბეჭდილი სიმართლითა და დამაჯერებლობით.

1941 წელს მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრმა დადგა თანამედროვეობის თემაზე დაწერილი მხიარული კომედია, კ. ბუაჩიძის „მეატირი ქალიშვილი“.

მუხა პლატონოვას როლს ასრულებდა ბაბო. მან ფუჟსაკაცაქლის საინტერესო სახე დაიჭივბა. მსახიობი განასახიერებდა ქალს, რომელმაც თავის ადგილს ვერ მიაცნო ცხოვრებაში. მისი სიტყვები „ნათელიყო, ჭირში“ მაყურებელში სიცილს კი არ იწვევდა, არამედ სიბრალულს... ბაბო გამრეველი სატრფილ სიმსხვეპის ავტენდა, როცა დაუზოგავად ამოშვებდა მემწანაბში ჩაძირული ქალის ხასიათს.

1943 წლის თეატრმა დადგმა შიღერის „იჭეთი ავადმყოფი“. ბაბო ვარტველი ამ სპექტაკლში ატრანის მუღლის, ბუღლის ბრუნის ასრულებდა. მსახიობმა წინ წამოიხა ბუღლისა გაუმხადარი თვებს თვალთაქივბა, გაიძვევბა, ბიოტეტ უზახებში. ბუღლის ამ ერთდებმა არავითარ ნაიჯს, თუნდც ის მისი მუღლის სისიკველიოდ იყოს გადადგებოდა.

ძალზე თბილად, სიყვარულით გამოძერწილი სახე იყო ცაბუ შ. დღიანის პიესის „ნაბერწვილიდან“. რველუეიონერი ქალის ეს როლი ბ. გამრეველმა კვლავ დიდი სიმართლით და ნათელი სიყვარულით წარმოსახა.

ერეცლია ბ. გამრეველის მიერ განასახიერებელი როლები და. მსახიობი წარმოვედებდა ფართო დიასახლისის შემოქმედება, რომელიც რანდენიმე ათეული წლის მანძილზე შემოქმედებითი გატაცებით შემოიხა ქართული თეატრის წარმატებისათვის.

ბაბო გამრეველის დეაწი ქართული თეატრში არ ამოიწურება მარტოდონ სასცენო მიღაწეობით. ერთხანს მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგეც; დიდი დამსახურება აქვს ამ მუშაობის ნაყოფიერ ნუშაობაში. კარგად შერჩეული თეატრალური მასალების გამოყენება თეატრისავე ფიოიში; დიდწვდინადად გაფორმებული ექსპონატები ნათელიყოფს იმ დიდ სიყვარულს და მონდობებს, რომლებსაც ბაბო ახმარს მუხუ-რუმს. ბაბო გამრეველს უნდა ვუამაღლოდებ გვერდის სანტეტრესო შემოქმედებითი მასალის დაგროვებასა და დაცვას.

უმანჯი ჩხვიძის წიგნზე „კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი“; რომელიც მან ბ. გამრეველს აჩუქა, წარწერილია: „მარჯანიშვილის თანამებრძოლსა და მგებობარს ბაბუცა გამრეველს მგებობრული სიყვარულით. უმანჯი“. ბაბო გამრეველი დღესაც დიდი სიყვარულით ატრძლებს თეატრში მიღაწეობის. კვლავაც დიდხანს ემსახურის მას ქართული თეატრის საკეთილდღეოდ.

ახლანან უკრაინულმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ნატალია უგვის სახსენოდ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი.

ნატალია უგვი გვეუფენის უკრაინულ ხელოვნებაში იმ თიბას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა უკრაინულ თეატრს, იგი ცოცხალი განსახიერებაა გენიალური მ. ზანკოვცკაიას დემოკრატიული ტრადიციებისა თანამედროვე უკრაინულ ხელოვნებაში. ხალხიდან გამოსული დიდი მსახიობი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ქმნიდა და ქმნის უკრაინულ მწრთომელ ქალთა ბრწყინვალე სცენურ სახეებს. მის მიერ შექმნილ გმირთა გაღერებაში ჭეშმარიტად საპატიო ადგილი უკავიათ ისეთ როლებს, როგორცაა — ანა (ი. ფრანკის „მოპარული ბედნიერება“), ვარკა (ი. კარპენკო-კარის „უბედური“), მეატრიჩე (ვ. შექსპირის — „აურსაური არაფრისათვის“), სუზანა (პ. ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“) და სხვა. ამ სახეებში მსახიობმა შეიტანა პოეტურობა, რომანტიზმი. იგი ღრმა განცდილი გადმოგვცემდა დამონებული უკრაინელი ხალხის მიმე ტანჯვას. მის ნიჭს ღრმა დრამატისმთან ერთად, უკრაინელი ხალხისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი კომიზმი, ოპტიმიზმიც ახლავს, ამიტომაც ესოდენ მჩქეფარე, ტემპერამენტულია მისი ნატალია კოვჩიკი ა. კორნეიჩუკის „მახველის ქალაში“.

ნ. უგვის რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა დრამატურგიას. იგი ბრწყინვალედ ასახიერებდა თავდადებულ კომუნისტ ქალს ოქსანას ა. კორნეიჩუკის პიესაში „ესადრის დაღუბვა“, ლიდას — „პლატონ კრეჩემი“, მაკლიანას — მ. კულოშის „მაკლიონა გრასა“, ლიუბოვ იაროვაიას — კ. ტრენიევის „ლიუბოვ იაროვაია“ და სხვ.

ნ. უგვიმ დიდ წარმატებას მიაღწია რუსულ კლასიკურ დრამატურგიაში. უკრაინული თეატრის ისტორიის საგანმურშია შესული მის მიერ კრუჩინინას (ა. ოსტროვსკის „უღანაშაულო დამნაშავენი“), ტუკინას (ა. ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი“), სოფიას (მ. გოგოლის „უკანასკნელი“) და სხვათა სახეები. ნ. უგვიმ თავისი ღვაწლი დასდო კინემატოგრაფიაშიც. მან ბრწყინვალედ ითამაშა ფილმებში „პრომეთე“, „ეობორგის მხარე“, „კოსარტყლა“. „უკრაინული რაფსოდი“ და სხვა.

ნ. უგვი ქართველი ხალხის, ქართული ხელოვნების მოღვაწეთა დიდი მეგობარია. იგი ბევრჯერ ყოფილა საქართველოში. მის აქტიურულ ნიჭს გასტროლების დროს მაღალი შეფასება მისცა ქართულმა პრესამ. ფილმ „პრომეთეს“ გადაღების დროს

ნატალია უგვი



უკრაინული ხელოვნების

მეგობარი

ნადეკდა შალუტაშვილი

(დამდგმელი ი. კავალერიძე) იგი მეგობრულად მუშაობდა პ. მურულუსთან, ა. ერისთავთან და სხვა ქართველ მსახიობებთან ერთად. უგვი მრავალი წელი მეგობრობდა და მეგობრობს ჩვენი ხელოვნების გამორჩენილ მოღვაწეებთან — ნ. ვანანატსთან, ს. ჩიქოვანთან, ვ. ანჯაფარიძესთან, მ. ტიაურელთან, ა. ხორავასთან, ა. ვასაქსთან, დ. ანათქსთან, ო. ევაქსთან და სხვ.

მუდამ მოძიამარი, საოცრად ქალური და მიწოდველი მსახიობი, განსახიერება უკრაინელი ქალის, უკრაინელი დედის საუკეთესო თვისებებისა. იგი გვხიბლავს გემოვნრილებს თავისი მშვენიერებით და დღეს, როდესაც მისი ხალხი ესოდენ მაღალ შეფასებას აძლევს მის დამსახურებას, მის მოღვაწეობას, ამ საერთო აღტაცების ხმებს ჩვენს გუერთებთ ჩვენს საუკეთესო სურვილებს.




კვეტრა. ინტერისის ერთი კუთხე

ემზადება დაწეროს წიგნი „სიძველეთა კვალიდაკვალ“. რომელშიც კახეთის არქეოლოგიურ ძიებას დიდი ადგილი დაეთმოთა.

ჩვენ ვეწვევით მკვრდაგახსნილ კვეტრას, შევხვდით ექსპედიციის ხელმძღვანელობას, ვნახეთ როგორ გულმოდგინებლ, საოუთად, დაუცხრომელი ინტერესით კვიდება საქმეს ექსპედიციის თვითიული წევრი, ვნახეთ, როგორ ეჯიბრებინან ერთმანეთს ამ საშვილიშვილო საბუშის კეთილად დაბოლოებისათვის უნივერსიტეტის სტუდენტები და ახმეტელი ახალაზრდები. ვნახეთ და გავიზიარეთ მათი დიდი სიხარული ახალ-ახალი არქეოლოგიური მონაპოვრებით.

უძველესი პურქული



— ექსპედიციის ერთი თვის მუშაობამ უკვე თვალსაჩინო შედეგები გამოიღო და შეიძლება წინასწარი შეჯამება აღმოჩენებისა კვირისათვის ექსპედიციის ხელმძღვანელმა გიორგი ლომთაძემ: შიდა ციხეში გარშემოწმინდა მშენიერი კარის ცვლქია, მალე დაიწყება მისი აღდგენის სამუშაოები. დასარულს უახლოვდება სასახლის ნანგრევების გაწმინდა და იქაც შესაძლო გახდება რესტავრაციის განხორციელება. ამოწმინდა სასახლის მახლობლად მდებარე დიდი, კარგად ნაშენი წყალსაცავი, დაიწყო შიდაციხის ქვედა კარიბჭისა და წახანაგვანი კომპის გარშემოწმინდა.

დიდალი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვრის შუქს ჰფენს ამ უნიკალური ციხე-დარბაზის ანსამბლის ისტორიას. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ჭურჭლეული და სხვა საგნები, კერძოდ სპილენძის ფული, რომლებიც გვიდატურებენ ციხე-დარბაზის არსებობას უკვე IX-X საუკუნეებში. მონაპოვრის დიდი ნაწილი (მოჭექელი თუ მოჭექივე ჯამ-ჭურჭელი და სხვა საგნები, მათ შორის ქვის ჭურჭელი) შეიძლება მიეკუთვნოს XII-XIII საუკუნეებს — რუსთაველის ხანას.

სხვა განათხივრებში მოპოვებულ ჭურჭლებთან დიდი მსგავსების გარდა, არის თავიებური ნაწარმიც, ჩანს, ადგილობრივი. ამ მხრივ აღსანიშნავია კერამიკული ქერის ცალკეული ფრაგმენტები თუ სხვა ნახევროდ გახსადებული ჭურჭელი. გვხვდება მინის ჭურჭლებიც, აგრეთვე უფროდაუსისი კერამიკა — ფიანისი, შესაძლოა იმპორტული. ყოველივე ეს სასებთი შეფურება დიდაკურ (ალბათ ერისთავის) სასახლეს.

XIII საუკუნის შინდგომი ეპოქის მონაპოვრები თითქმის არ ჩანს და, ვინ იცის, იქნებ მონღოლების შემოსევის შემდეგ კვეტრის ციხე-დარბაზში არსებობდა შეწყდა კიდევაც სიციცხლე.

ამას და მრავალ სხვა საკითხს შემდგომი გათხრა-ძიება გაარკვევს.

კვეტრა უკვე მტკიცედ შევიდა გულმოდგინედ შესწავლილ ძეგლების სიაში, — დასძინა ბოლოს ექსპედიციის ხელმძღვანელმა — მობოლური კულტურის შესწავლის დიდმა ენთუზიასტმა, მეტად თავმდაბალმა და ღრმა ვრუდიციის მკვლევარმა გიორგი ლომთაძემ.



ბოლო დღეებში იმრავლა არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა. ძირითადად მაინც კერამიკაა. აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების ფიანისის პატარა ფილები და სხვა საგნები. მათ შორის ოქრისი და სხვა ლითონების, საღებავებით მოხატულები. კერამიკიდან აღსანიშნავია დიდალი და ნაინარი, მაღალპარისოვანი, ზოგჯერ მოჭექელი კრამიტი — საერთოდ გავრცელებული რუსთაველის ეპოქაში.

არქეოლოგიური მონაპოვრათა შორის ყურადღებას იქცევს ძველებური სამართებელი, შუშის ფაქიზი ჭურჭლისა და სამაჯურის ნატეხები, წყალსადენის თიხის მილები, ქვევრებისა და თიხების ნაშთები.

არქეოლოგიური ძიება სამი წლით არის დაგეგმილი, პირველ რიგში შიდაციხის არქეოლოგიური კვლევა მიმდინარეობს, შემდეგ წლებში დანარჩენი ტერიტორიის — ციხე-გალავნების, ნამოსახლარის და სხვა ნაგებობათა შესწავლა განხორციელდება.

კვეტრის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ რესტავრატორები, გამოჩნდა სამისოდ საჭირო სამუშაო მასალა. არქიტექტორი ოთარ თორთლაძე საკუთარი პროექტით შეუდგა ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოს. აქ არიან ისტორიკოსებიც. მათაც ხომ დიდი და რთული სამუშაო აქვთ შესასრულებელი. კვეტრას უთუოდ თვალსაჩინო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს სწორედ ისტორიკოსებმა უნდა დაადგინონ.

ილდანის ქედი კარგახანია ნავთისმაძიებელთა ასპარეზია. მის მრავალრიცხოვან ლაშქარს ახლა არქეოლოგები, ხელმეცხემოდენები, ისტორიკოსები მიემატნენ. ილდანში სიცოცხლე ჩქეფს, ხმაურობს თანამედროვე ტექნიკა...

სამუშაოები წინ არის, მალე გვენახოს აღდგენილი და მიოღო თავისი გრანდიოზულობით აღმართული საოცარი კვეტრა.



შეპოქველი ქალაგი უოღალურ სეპაროველოში

დავით კორიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

პარიმალ ქალშის მამაკაცებთან ერთად დიდი დღეაღვი მიუძღ-
ვით საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურის შექმნა-
სა და განვითარებაში. საისტორიო მწერლობას თუ ქართულ ხალხურ
სიტყვიერებას მრავლად შემოუწახავთ მასალები იმ ქართველ შემოქ-
მედ ქალთა შესახებ, რომლებიც ფეოდალურ საქართველოში დიდ
კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ.

ქართველ ქალთა სულიერი და გარეგნული სილამაზის, ჭკუა-გო-
ნების, სწავლა-განათლების, დიპლომატიურ და მჭევრმეტყველების
ნიჭსა თუ სხვა ღირსებების შესახებ ხშირად აღნიშნავდნენ ჩვენი და
უცხოელი მოგზაურები, დიპლომატები თუ ისტორიკოსები. (ესქილე,
ქსენოფონტე, პტოლომეი, სტრაბონი, პიეტრო დელა-ვალე, პაველ მა-
რია ფიანცელი, იონათანი, ვაგიფი, ჯან შარდენი, არქანჯელო ლამ-
ბერტი, იოსებ დელაპორტი, დიუბუა დე მონპეი, ჩარლზ დარვინი,
ვიქტორ პიუგო, მარკოზ და კიუსტინი, ალექსანდრე დიუმა, ბარონ
ტრონაუ და სხვა მრავალი).

საკუთვლათად ცნობილია, თუ ეს სათინ ქალები მტერთან ბრძო-
ლაში რა ვაგაკცურად იქცეოდნენ. თავიანთი მამაკობით მათ ბევრჯერ
აუღდენიათ განსაცდელი ჭკვეისისათვის.

საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსი ესქილე (525—456) თავის
უკვდავ ტრაგედიაში „მოჩაჭკული პრომეთე“ იხსენიებს კ ოლ-
